

განო დევაძე

გამოწვიძება

To May



საქართველოს უნივერსიტეტის
გ ა მ ა მ ხ ე მ ლ ტ ბ ა

რედაქტორი
ტექნიკური რედაქტორი
ყდის დიზაინერ-ილუსტრატორი
კომპიუტერული უზრუნველყოფა

თეა ბარამაშვილი
ჭულიეტა ანდოულაძე
ბარბარე მაჭავარიანი
ნინო სუარიძე

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა © 2022
ჯანო დევაძე © 2022

ქართული გამოცემა

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არცერთი ნაწილი არანაირი
ფორმით ან საშუალებით არ შეიძლება გამოყენებული იქნას
გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ISBN 978-9941-9708-1-8

მისამართი: კოსტავას ქ. 77, თბილისი 0171, საქართველო
ტელ.: 032 2 55 22 22

დაიბეჭდა საქართველოში

“**ეჭვისა თეატრულებულისა დარი, მაგრამ
ხელობა ამ დარის არასწორ პირ კარგიდან ხელ-
ყრის ტესავით არა, პირ კარგზე დაუკავშირდა და
კანსაზოგრძელებული არა, რამაც ტესავით
ხარისხისას პირ კარგი არა, რამაც ტესავით
პირ კარგზე მაგრამ არა, თუ ნება მაგრამ**”.

†^{xx}

၂၁၃၀

၅၁၃၀၉၀ ၁	7
၅၁၃၀၉၀ ၂	69
၅၁၃၀၉၀ ၃	127
၅၁၃၀၉၀ ၄	203

၅၁၆၀၉၂၀ ၁

გზე ჯერ არ ჩანდა – შვიდ საათზე მეტი არც იქნებოდა. ოთხი გოგონა პასპორტებში გაჩრილი ბილეთებით ხელში მცველს უახლოვდებოდა და თუმცა ეტყობოდათ, რომ გამოუძინებლები იყვნენ, მაინც იგრძნობოდა, რომ ახლა აქ ყოფნისა და უფრო მეტად მოგზაურობის მოლოდინი – როგორც გარდაუვალი სიამოვნება – მათ ყველა საფიქრალს გადაწონიდა. ამიტომაც ერთი სული ჰქონდათ, ამ მცველის „ბარიერი“ დროზე „გადაელახათ“, თუმცა იყო მეორე დაბრკოლებაც – დაცვის სხვა თანამშრომელი, რომელიც მკაცრად აკონტროლებდა სიტუაციას – ვინმეს დროზე ადრე არ გადაეკვეთა საპასპორტო კონტროლთან გავლებული წითელი ღენტი.

ირგვლივ უამრავი ადამიანი ირეოდა, ალაგ-ალაგ ჯგუფებადაც იდგნენ – ლაპარაკობდნენ ან ხალხს ათვალიერებდნენ. სხვა საქმე არც ჰქონდათ და პრინციპში, ბუნებრივიც იყო ეს ამბავი. გოგონები დაბნეულად ათვალიერებდნენ აქაურობას, თუმცა საკმარისი იყო, ვინმე დასჯახებოდათ ან მიტმასნებოდათ, რომ მყისვე ცდილობდნენ უკეთესი ადგილის შერჩევას და ამისთვის ერთმანეთისთვის მხრებზე ხელის მსუბუქ დაკვრასაც არ ერიდებოდნენ – ერთმანეთს აჩქარებდნენ, რომ რაც შეიძლება მალე გასცლოდნენ თვლემამორეულებს და თავიანთ გემოზე ალაპარაკებულიყვნენ.

– არ შეიძლებოდა, ეს პილეთები მომდევნო რეისზე რომ აგველო? ამ ყინვაში ცოტა შელავათი მაინც იქნებოდა დღის სინათლეზე მგზავრობა. თანაც მშიერი ვარ. ბოლოს გუშინ, შუა დღით ვჭამე, დაზღვევის გასაკეთებლად რომ ვიყავი, – თქვა სანიმ, ძვირად ღირებულ, შავ სამოსში გამოწყობილმა კეთილსახიანმა გოგონამ, რომელსაც აღნაგობაზე აშკარად ეტყობოდა ჭამის სიყვარული. ახლა მოუსვენრად აბრიალებდა ჩამრგვალებულ ლოყებში ჩაკარგულ შავ, წვრილ თვალებს. თხელ ტუჩებზე წითელი ტუჩისაცხი ისე წაესვა, რომ ტუჩის კონტურებს მნიშვნელოვნად გადასცილებოდა, თუმცა ეტყობოდა, რომ ამ შეუსაბამობას დიდად არ დაგიდევდათ. ამ ბოლო დროს სანი ჭამის სიყვარულთან ერთად კერძების მომზადების უინსაც შეეპყრო და ამ მოგზაურობისგან იმასაც ელოდა, რომ სხვადასხვა რესტორანში სტუმრობისას რაიმე ახალსა და საინტერესოსაც იპოვიდა.

– ამიტომაც ჩამოხმი ასე, – ირონიულად უპასუხა სალიმ, გადამეტებული თავმოყვარეობის გამო თავაწეული რომ დადიოდა, თუმცა ახლა კეპი ისე ჩამოეფხატა თვალებზე, რომ ძლივს იკვლევდა გზას ხალხმრავლობაში. არადა, ეს კეპი მშვენიერი სახის დასაფარად უფრო დაეხურა, ვიდრე სხვა დანიშნულებით. ლურჯი თვალები არათუ შეემალა კეპქვეშ, ხალხსაც კი ძლივს ხედავდა, ერთთავად რომ ირეოდნენ მის გარშემო. ოდნავ დაკუნთულ, სწორ ფეხებზე ისე შემოტმასნოდა ჯინსი, რომ ჭალარა კაცებიც კი ვერ ახერხებდნენ თვალის არიდებას. თუმცა მხოლოდ ეს არ იყო. მხრებზე დაფენილი, მოვლილი, სურნელოვანი, ჩალისფერი თმა აშკარად ამხელდა მის მომხიბვლელობას.

– ხუმრობ ხომ? – შეშფოთებით იკითხა სანიმ და დაცვის თანამშრომელს მიუტრიალდა. – ბარგს დავტოვებთ და ბუფეტში შევალთ.

ბევრი არაფერი უთქვამს მესაზღვრეს, მხოლოდ